გაბრიელ ონორე მარსელი

იყო და ფლობდე

GABRIEL HONORÊ MARCEL

ÊTRE ET AVOIR

გამომცემლობა აქტი

თბილისი – 2022

ავტორი: გაბრიელ მარსელი
მთარგმნელი: თამარ ქავთარაძე
გამომცემელი: გიზო ცაცუა

გარეკანის დიზაინი: დაიანა ღონიაძე

პირველი ქართული გამოცემა, 2022
გამომცემლობა „აქტი“, 2022 წელი
ვებ-გვერდი: AKTI.GE

© iBooks

ISBN 978-9941-8-4380-8

სარჩევი

წინასიტყვაობა 5

I. მეტაფიზიკური ღლიური.....7

II. ფლობის ფენომენოლოგიის მონახაზი.....178

გამომცემლობა „აქტი“-ს მიერ გამოცემული წიგნები..... 207-209

წინასიტყვაობა

პირველი ფრანგი ეგზისტენციალისტი ფილოსოფოსის, გაბრიელ მარსელის ფილოსოფიურ თხზულებებს ფრაგმენტული ჩანაწერების ხასიათი აქვს – ეს ის პრინციპია, რომელიც მან თავისი შემოქმედების საფუძვლად განსაზღვრა. მასალა, რომლითაც ის მუშაობს – შინაგანი ეგზისტენციალური გამოცდილების მოცემულობა, რომელიც თითოეული ინდივიდისთვის უნიკალურია – გამორიცხავს მისი ერთიანი სისტემის სახით წარმოჩენის შესაძლებლობას. დღიურის იდეა შეიცავს აღსარების პრინციპს, რომელიც ფუნდამენტურია ქრისტიანობისთვის. ეს ფორმა შესაძლებელს ხდის, გაგონილ იქნეს „ადამიანის მარტოსული ხმა“, რომელშიც ხედავს კიდეც მარსელი არსებობის ფილოსოფიის ამოცანას. რეფლექსიის ამოსავალი წერტილია საკუთარი თავის შემმეცნებელი სუბიექტის საკუთარ სხეულთან განუყოფელი მისტიკური კავშირის რეალობა, უშუალოდ მოცემული ადამიანისთვის. ეს კავშირი არის განსხეულება (incarnation).

დღიური „იყო და ფლობდე“ ავლენს ანთოლოგიური არჩევანის არსს, რომლის წინაშეც დგას ადამიანი. მას შეუძლია ამაღლდეს ავთენტურ ყოფიერებამდე, რითიც თავისი ერთადერთი და ფუნდამენტური თავისუფლების რეალიზაციას მოახდენს. მაგრამ ყოფიერება ტრანსცენდენტურია სუბი-

ექტ-ობიექტისეული გაყოფის სამყაროსთან მიმართებით, რომელსაც მარსელი ფლობის სამყაროს უწოდებს. აქედან გამომდინარე, მისკენ გასვლა მხოლოდ ამ უკანასკნელის დაძლევით არის შესაძლებელი.

ფლობის სისტემის საფუძვლად სუბიექტის ეგოცენტრიზმი ძევს, რომელიც ზღუდავს საკუთარ თავს სიცარიელის ზონით ყველაფრისგან, რის ქცევასაც ცდილობს საკუთარ ობიექტად. იდუმალი არის ის, რაც არ ექვემდებარება პრობლემატიზაციას, ის ემთხვევა ონტოლოგიურს. ყოფიერება არის საიდუმლო. შესაბამისად, ნებისმიერი ინდივიდუალური ყოფიერება წარმოადგენს ონტოლოგიური საიდუმლოს გამოხატულებას და ადამიანს შეუძლია შეეხოს მას საკუთარი პიროვნების სიღრმეში ჩაძირვით. მარსელის კონკრეტული ონტოლოგია მის მიერ ჩაფიქრებულია, როგორც საპირწონე სიმკაცრისა და უარყოფის, პესიმიზმისა და სასოწარკვეთისადმი მიდრეკილებისა, რომლებიც დომინირებს ფლობის სამყაროში.

ეს კრებული წარმოდგენილია მარსელის ორი ნაწარმოებით – 1928-1933 წლების ჩანაწერებით „მეტაფიზიკური დღიური“ და მათი რეზიუმეთი „ფლობის ფენომენოლოგიის მონახაზი“.

I. მეტაფიზიკური დღიური

10 ნოემბერი, 1928

დღეს მტკიცე გადაწყვეტილება მივიღე, განვაგრძო ჩემი მეტაფიზიკური დღიური, შესაძლოა თანმიმდევრულ მსჯელობათა სერიის სახით.

მყისვე მეწვია აზრი, რომელიც შესაძლოა ძალიან მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს: ვუბრუნდები ჩემს ფუნდამენტურ წარმოდგენას არსებობის შესახებ, საკუთარ თავს ვუსვამ კითხვას, შეიძლება თუ არა რაიმე აზრით ითქვას, რომ იდეა არსებობს. და აი, რის შესახებ დავფიქრდი: იდეა იმასთან მიმართებით, რასაც ის წარმოადგენს, იგივეა, რაც მოდელი ობიექტის მიმართ (მომდევნო დღეს მე იმის შესახებ ვფიქრობდი, რა გვესმის ჩვენ იდეის გარეგნული ფორმის ქვეშ), და ობიექტის, როგორც ასეთის, არ-არსებობის სფეროში მდებარეობს; თუკი ობიექტი მხოლოდ იმდენად არსებობს, რამდენადაც დამოკიდებულება აქვს ჩემი სხეულის ბუნებასთან, მის შესახებ არ შეიძლება მსჯელობა, როგორც არსებული ობიექტისა. საერთოდ თუ არის შესაძლებელი საუბარი იდეის არსებობის, როგორც სინამდვილეში არსებულის შესახებ; უფრო ზუსტად, გვაქვს აქ რაიმე, გარდა ჩამოყალიბებული ფსევდოობიექტური წარმოდგენებისა? რაოდენ უგუნურიც არ უნდა იყოს სამყაროს მატერიალისტური გაგება, ის მაინც შეიცავს უხერხულობის ერთგვარ განცდას იმასთან მიმართებით, რის განხილვასაც ვაპირებ აქ. შეიძლება ითქვას, რომ იდეა იმდენად არსებობს, რამდენადაც

მიმდევრებს პოულობს. ამისთვის შუქის მოფენას კონკრეტული მაგალითებით ვისურვებდი; ბუნებრივია, რომ ეს უკიდურესად რთულია. ჩემი მსჯელობის საწყისად მომდევნო დღეს იქცა აზრი ერთი მოვლენის შესახებ (ოპერაციისა X), რომელთან სიფრთხილით მოპყრობისთვის მრავალი მიზეზი მქონდა. შეიძლება ითქვას, რომ მე ამ აზრს მრავალ მხარეს ვაბრუნებდი ან რომ ის ბრუნავდა ჩემს წინაშე, მიჩვენებდა რა სხვადასხვა მხარეებს; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ აზრს ისე ვეპყრობოდი, როგორც ობიექტს (მაგალითად, კუბს), რომელსაც სამი განზომილება გააჩნია.

22 ნოემბერი

საინტერესო აზრი: ბრალდება ან, უფრო სწორედ, ბრალდების მოთხოვნილება (გქონდეს რაიმე ან გყავდეს ვინმე, ვისაც ბრალს დასდებდით), ეს ხომ არ დევს ყოველი „კაუზალური განმარტების“ საფუძვლად? ვგრძნობ, რომ ამ იდეის განვითარება შესაძლებელია. ვფიქრობ, ნიცშეანურ ფსიქოლოგიასთან უნდა იყოს ახლოს.

შენიშვნები ფილოსოფიური საზოგადოების სხდომაზე გამოსვლისთვის. (ეს დაუთარიღებელი ჩანაწერები 1927 ან 1928 წელს ეკუთვნის).

როდესაც მე ვამტკიცებ, რომ რაიმე საგანი არსებობს, ყოველთვის ვგულისხმობ, რომ ის ჩემს სხეულთანაა კავშირში, რომ მას და ჩემს სხეულს შორის შესაძლებელია კონტაქტი, იმდენადვე უშუალო, რამდენადაც გავლენიანი. მხოლოდ ის უნდა გავხადოთ ნათელი, რომ პრიორიტეტი, რომელსაც მე ჩემს სხეულს ვანიჭებ, იმ ფაქტთან არ არის დაკავშირებული, რომ ამ უკანასკნელს მე აღვიქვამ, როგორც რაღაცას ობიექტურს; იმ ფაქტს, რომ ეს სახელდობრ ჩემი სხეულია. ეს ერთდროულად მისტიკური და ინტიმური კავშირი ჩემსა და ჩემს სხეულს შორის (მე განგებ არ ვიყენებ „დამოკ-

II. ფლობის ფენომენოლოგიის მონახაზი

(სიტყვა, წარმოთქმული 1933 წლის ნოემბერში ლიონის ფილოსოფიურ საზოგადოებაში)

თავდაპირველად ვისურვებდი იმ შეტყობინების ფეთქებადი ხასიათი აღმენიშნა, რომლის გადმოცემასაც ვაპირებ. იგი შეიცავს ჩანასახს ფილოსოფიისა, რომლისაც მე ჯერ მნიშვნელოვანწილად მხოლოდ წინათგრძნობა მაქვს და რომელსაც, თუკი ეს შესაძლებელი იქნება, სხვები განავითარებენ ფორმებით, რომლებიც დეტალურად ჩემთვის წარმოუდგენელია. თუმცა, შესაძლოა ზოგი მიდგომა, რომლის მონახაზის გაკეთებას ვაპირებ, ჩიხისკენ მიმავალი აღმოჩნდეს.

ახლა მსურს გიჩვენოთ, როგორ შევუდექი ფლობის პრობლემაზე მუშაობას. ეს ძირითადი იდეა როგორღაც წარმოიშვა მეტად კონკრეტულ კვლევათა საფუძველზე, მე კი გარდუვალად მომიწევს დასაწყისში მათზე მინიშნება. პატიებას ვითხოვ იმისათვის, რომ საკუთარი თავის ციტირებას ვახდენ, მაგრამ ეს ყველაზე იოლი საშუალებაა, რათა ჩემს ინტერესთა წრეში შეგიძღვეთ, რომლებმაც ადგილი დაუთმეს ესოდენ აბსტრაქტული იერსახის მქონე კვლევებს.

უკვე „მეტაფიზიკურ დღიურში“ წამოვაყენე მე პრობლემა, რომელიც თავდაპირველად წმინდად ფსიქოლოგიურად გამოიყურებოდა. მე დავსვი კითხვა: როგორ არის შესაძლებელი იდენტიფიცირება გრძნობისა, რომლის განცდა

პირველად ხდება? გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მსგავსი იდენტიფიცირება ხშირად მეტისმეტად გართულებულია (სიყვარულმა შესაძლოა მიიღოს ფორმები, რომლებიც გაცბუნებას გამოიწვევენ, რაც საშუალებას არ აძლევს მას, ვინც ამას განიცდის, ჩაწვდეს მის ჭეშმარიტ ბუნებას). მე მოვახდინე კონსტატირება, რომ მსგავსი იდენტიფიცირება მეტად განხორციელებადია მაშინ, როდესაც გრძნობა შესაძლოა გაიგივდეს რაღაცასთან, რაც მე გამაჩნია. ასეთ დროს ხდება მისი განწმენდა, განსაზღვრა, ინტელექტუალიზება. ასეთი გზით მე ძალმიძს კონკრეტული იდეის ჩამოყალიბება და მისი შედარება წინმავალ ცნებასთან, რომელიც ზოგადად გამაჩნია ამ გრძნობის შესახებ (რასაკვირველია, მე ახლა სქემატურად გადმოვცემ ჩემს აზრებს, მაგრამ ამას არ აქვს მნიშვნელობა). პირიქით, რაც უფრო ნაკლებაა ამ გრძნობის კონტურები მოხაზული, და, შესაბამისად, განსხვავებადი, მით ნაკლებია რწმენა იმისა, რომ მე მის ცნობას შევძლებ. მაგრამ ხომ არ არსებობს ამ გრძნობების საპირისპიროდ, რომლებსაც მე ვფლობ, რაღაც, მსგავსი ემოციური განტოტებისა, რომელიც იმდენადაა განუყოფელი იმისგან, რაც მე ვარ, რომ მე არ შემიძლია ის რეალურად დავუპირისპირო საკუთარ თავს (და, შესაბამისად, განვიაზრო)? ამგვარად, მე თუ ღრმა განსხვავებას არ ვჭვრეტ, სულ ცოტა, ვხედავ რაღაცას, მსგავსს ნიუანსთა გამისა, ოდნავ შესამჩნევ გადასვლას გრძნობას შორის, რომ მე ვფლობ, და გრძნობას შორის, რომ მე ვარ. აქიდანაა ჩანაწერი, გაკეთებული 1923 წლის 16 მარტს: „არსებითად ყველაფერი დაიყვანება განსხვავებაზე იმას შორის, რასაც ვფლობთ და რაც ვართ. თუმცა უკიდურესად რთულია ამის გამოხატვა კონცეპტუალური ფორმით, ამის გაკეთება აუცილებელია. ცხადია, რომ ის, რასაც ჩვენ ვფლობთ, წარმოადგენს რაღაცას, რაც გარეშეა საკუთარი თავის მიმართ. თუმცა, ეს გარეშე არ არის აბსოლუტური. პრინციპში ის, რასაც ჩვენ ვფლობთ – ესაა

გამომცემლობა „აქტი“-ს მიერ გამოცემული წიგნები

1. ფრიდრიხ ნიცშე – ანტიქრისტე
2. ფრიდრიხ ნიცშე – ტრაგედიის დაბადება მუსიკის სულიდან
3. ფრიდრიხ ნიცშე – სიკეთისა და ბოროტების მიღმა
4. ფრიდრიხ ნიცშე – კერპების მწუხრი, ანუ როგორ ფილოსოფოსობენ ჩაქუჩით

5. კარლ იასპერსი – ნიცშე და ქრისტიანობა
6. კარლ იასპერსი – ფილოსოფიის შესავალი

7. სიორენ კირკეგორი – შიში და თრთოლვა
8. სიორენ კირკეგორი – სატანჯველის სახარება

9. ზიგმუნდ ფროიდი – სამი ნარკვევი სექსუალობის თეორიიდან
10. ზიგმუნდ ფროიდი – მასების ფსიქოლოგია და ეგოს ანალიზი
11. ზიგმუნდ ფროიდი – მოსე და მონოთეიზმი
12. ზიგმუნდ ფროიდი – ეგო და ID

13. ლევ შესტოვი – შემეცნების ფილოსოფია და თეორია
14. ლევ შესტოვი – შემოქმედი და დამანგრეველი სამყარო

15. ბერტრან რასელი – ესეები
16. ბერტრან რასელი – ქორწინება და მორალი

17. ედმუნდ ჰუსერლი – ამსტერდამული მოხსენებები
18. მიგელ დე უნამუნო – ქრისტიანობის აგონია
19. ნიკოლაი ბერდიაევი – ყოფიერება, თავისუფლება, ღმერთი
20. იმანუელ კანტი – მარადიული მშვიდობისკენ
21. ერიხ ფრომი – ადამიანის სული

22. სვამი ვივეკანანდა – კარმა-იოგა
23. სვამი ვივეკანანდა – ბჰაქთი-იოგა
24. სვამი ვივეკანანდა – შთაგონებული საუბრები
25. სვამი ვივეკანანდა – პატანჯალის იოგა სუტრა
26. სვამი ვივეკანანდა – ძველი ინდური ფილოსოფია
27. სვამი ვივეკანანდა – მედიტაცია და მისი მეთოდები

28. მერაბ მამარდაშვილი – კარტეზიანული განაზრებანი
29. მერაბ მამარდაშვილი – ცნობიერება და ცივილიზაცია
30. მერაბ მამარდაშვილი – ლექციები ანტიკურ ფილოსოფიაში
31. მერაბ მამარდაშვილი – რაციონალურობის კლასიკური და არაკლასიკური იდეალები

32. ხოსე ორტეგა-ი-გასეტი – ეტიუდები სიყვარულზე

33. გუსტავ ლე ბონი – მასების ფსიქოლოგია
34. გუსტავ ლე ბონი – ერების ფსიქოლოგია

35. ჯიდუ კრიშნამურტი – მედიტაცია
36. ჯიდუ კრიშნამურტი – თავისუფლება ცნობილისგან
37. ჯიდუ კრიშნამურტი – სწრაფი ცვლილებების აუცილებლობა
38. ჯიდუ კრიშნამურტი – პირველი და უკანასკნელი თავისუფლება

39. ოშო – რა არის მედიტაცია?
40. ოშო – სექსიდან სუპერცნობიერებამდე

41. ემა გოლდმანი – ანარქიზმი, ათეიზმი, ფემინიზმი
42. დევიდ ლოურენსი – ფსიქოანალიზი და არაცნობიერი

43. იულიუს ევოლა – ომის მეტაფიზიკა
44. იულიუს ევოლა – ვეფხვის მორჯულება

45. ჯორჯ ბერკლი – ტრაქტატი ადამიანური შემეცნების პრინციპების შესახებ
46. მაჰათმა განდი – გზა ღმერთისაკენ

47. გიორგი გურჯიევი – გრძნეულთა ბრძოლა
48. გიორგი გურჯიევი – დანახული რეალური სამყაროდან
49. გიორგი გურჯიევი – ცხოვრება რეალურია მხოლოდ მაშინ, როცა „მე ვარ“
50. გ. გურჯიევი – ბელზებელის ნაამბობი შვილიშვილისთვის. წიგნი I-IV

51. ეკჰარტ ტოლე – აწმყოს ძალა
52. ირაკლი ბრაჭული – ზეკაცის ჰერმენევტიკა

53. ნონა ხიდეშელი – მეტამორფოზა
54. ნონა ხიდეშელი – Carpe diem

55. ალექსანდრე ბერკმანი – ანარქიზმის ანბანი
56. ავტორთა ჯგუფი – სპინოზას ფილოსოფია
57. ჟან-პოლ სარტრი – ეგზისტენციალიზმი ჰუმანიზმია

58. ჯონ სტიუარტ მილი – სოციალიზმი
59. ჯონ სტიუარტ მილი – თავისუფლების შესახებ
60. ჯონ სტიუარტ მილი – ქალთა დაქვემდებარება

61. დევიდ ჰიუმი – რელიგიის ბუნებრივი ისტორია
62. ლუდვიგ ბინსვანგერი – ეგზისტენციალური ანალიზი
63. გაბრიელ მარსელი – იყო და ფლობდე